ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება

მერილენდის უნივერსიტეტსა (კოლეჯ პარკი, აშშ) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (თბილისი, საქართველო) შორის

სურვილის შესაბამისად, რომ ხელი შეეწყოს ყველა ინსტიტუციის თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, მერილენდის უნივერსიტეტი, მერილენდის შტატის სააგენტო, მდებარე კოლეჯ პარკში, მერილენდი (შემდგომში მოხსენიებული როგორც **მერილენდის უნივერსიტეტი)** და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, მდებარე თბილისში, საქართველო (შემდგომში მოხსენიებული როგორც **დკსჯეც**–ი) დებენ ხუთწლიან ხელშეკრულებას ყველა მხარის მიერ ("პირობა") ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან:

პუნქტი1. **მერილენდის უნივერსიტეტი** და **დკსჯეც**–ი (შემდგომში მოხსენიებულნი როგორც **მხარეები**) ბიოლოგიური კვლევების, ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და ბიოლოგიური დაცვის სფეროში ჩაერთვებიან თანამშრომლობით ღონისძიებებში. ძირითადი ბიო–კვლევითი, საგანმანათლებლო და სატრენინგო აქტივობები განხორციელდება რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმერთელობის კვლევით ცენტრში (**სჯკც**–ი), რომელიც წარმოადგენს დკსჯეც–ის ნაწილს (კამპუსს).

პუნქტი 2. ერთობლივი ღონისძიებები დაეფუძნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებას. პროექტები განხორციელდება სამეცნიერო ცოდნისა და კულტურული ტრადიციების

გაზიარების გაძლიერების მიზნით, გლობალურ დონეზე საერთაშორისო სამეცნიერო და კულტურული გაცვლის საქმეში მხარეთა აქტიური ქმედებებით.

პუნქტი 3. მომავალი კონკრეტული შეთანხმებების განხორციელების მიზნით, რომლებიც ხელმოწერილია თითოეული ინსტიტუტის უფლებამოსილი პირების მიერ, მხარეები შეეცდებიან ჩაერთონ შემდეგი ტიპის თანამშრომლობით საქმიანობებში შეთანხმებული სფეროების ფარგლებში:

ა) გაცვალონ ლექტორები და სტუდენტები კვლევების, სწავლების და შესწავლის მიზნით;

ბ) ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მიზნით;

გ) ერთობლივი საგანმანათლებლო და ტრენინგ სისტემის პროექტების განხორციელების მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით;

დ) გაცვალონ მკვლევარები სემინარებისთვის, კონფერენციებისა და აკადემიური შეხვედრების მოსაწყობად;

ე) ცალკეული წერილობითი შეთანხმებების განხორციელების მიზნით, გაცვალონ კვლევითი პუბლიკაციები და სხვა ინფორმაცია, ბიბლიოთეკის ფონდების და მომსახურების ჩათვლით, ორივე მხარის ინტერესის სფეროს გათვალისწინებით.

პუნქტი 4. მხარეები დანიშნავენ პასუხისმგებელ პირებს ამ შეთანხმების კოორდინაციისა და განხორციელებისათვის. საკონტაქტო პირი **მერილენდის უნივერსიტეტი**–დან იქნება დოქტორი რიტა კოლოველი (+1 301 405 9550; rcolwell@umiacs.umd.edu); საკონტაქტო პირი **დკსჯეც**–დან იქნება დოქტორი პაატა იმნაძე (+995 599 906853: pimnadze@ncdc.ge).

პუნქტი 5. მხარეებს ესმით, რომ ყველა ფინანსური შეთანხმება ცალკეული მოლაპარაკების საგანია და დამოკიდებულია სახსრების ხელმისაწვდომობაზე.

პუნქტი 6. მხარეები თანხმდებიან, გამოიყენონ საკუთარი ძალისხმევა გარედან მიღებული სახსრების მიზნობრიობისათვის ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად.

პუნქტი 7. ქვეყანაში შესვლის და სავიზო მოთხოვნები ლექტორებისა და სტუდენტების ვიზიტისათვის: **მხარეებმა** იციან, რომ ლექტორების და სტუდენტების ერთი ინსტიტუტიდან მეორეში ვიზიტი აშშ–სა და საქართველოს სავიზო და ქვეყანაში შესვლის რეგულაციებს ექვემდებარება, და ასევე, უნდა ეთანხმებოდეს **მერილენდის უნივერსიტეტი**–სა და **დკსჯეც**–ის შიდა რეგულაციებსა და პოლიტიკას.

პუნქტი 8. დამატებითი შეთანხმებები: **მხარეებს** ესმით, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ვერ მოიცავს დეტალებს, თითოეული ერთობლივი პროექტის განხორციელდების, მართვის ან დაფინანსების შესახებ. შედეგად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ მათ სჭირდებათ, დადონ ცალკეული დამატებითი ხელშეკრულება თითოეული პროექტისთვის, რომელსაც **მხარეები** წამოიწყებენ.

პუნქტი 9. აკადემიური და კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების გამჭვირვალობა: მერილენდის უნივერიტეტის პოლიტიკის მიხედვით ინსტრუქციები, კვლევები და მომსახურება უნდა მიმდინარეობდეს ღიად და ფართო საზოგადოებისთვის აკრძალვების გარეშე, და აკადემიური და კვლევითი აქტივობებით მიღებული შედეგები გავრცელდეს. შედეგად, მერილენდის უნივერსიტეტი არ ჩაატარებს კლასიფიცირებულ ან „მგრძნობიარე მაგრამ არაკლასიფიცირებულ“ სამუშაოს, გარდა უნივერსიტეტის პრეზიდენტის და მერილენდის უნივერსიტეტის სისტემის კანცლერის წერილობითი ავტორიზაციის მქონე სამუშაოებისა.

მერილენდის უნივერსიტეტის პოლიტიკასთან შესაბამისობის გარანტიის და ყველა მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, დისკუსიების განხილვისას ან სამუშაოს წარმოდგენისას ცალკეული დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში, თუ **ერთი მხარე** მოინდომებს, რომ ინფორმაცია იყოს გახსნილი **მეორე მხარისათვის,** გამხსნელი **მხარე** განიხილება არა–საჯარო, ან კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრედ, და მხარეეები მოქმედებენ კონფიდენციალური შეთანხმების ფარგლებში.

პუნქტი 10. ექსპორტის კონტროლის წესები და რეგულაციები: აშშ–ს ექსპორტის კონტროლის წესები და რეგულაციები, რომელიც მოიცავს: ექსპორტის ადმინისტრაციული აქტს და მისი განხორციელების რეგულაციებს, ექსპორტის ადმინისტრაციული რეგულაციები (15 CFR §§ 730 *et seq.*); სამხედრო ექსპორტის კონტროლის აქტი და მისი განხორციელების რეგულაციები, საერთაშორისო ტრანსპორიტება/გადაზიდვა სამხედრო რეგულაციებში (22 CFR §§ 120 *et seq.*), („ექსპორტის კონტროლის წესები“), კრძალავს საჯაროობას უცხო ქვეყნისთვის და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, კონკრეტულ ტექნიკურ მონაცემებზე კონკრეტულ გარემოებებში („კონტროლირებადი ინფორმაცია“) მანამდე, ვიდრე იგი ლიცენზიას არ მოიპოვებს აშშ–ს მთავრობის შესაბამისი სააგენტოდან. შესაბამისად, მხარეები ათვიცნობიერებენ, ამ შეთანხმების ფარგლებში არსებული პროექტების შეფასება, შერჩევა და დაფინანსება უნდა ითვალისწინებდეს ექსპორტის კონტროლის წესების შეზღუდვების შესაძლო გავლენას.

პუნქტი 11. თანაბარი შესაძლებლობებისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპები: **მერილენდის უნივერსიტეტი** და **დკსჯეც**–ი ხელს აწერენ თანაბარი შესაძლებლობების და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ პრინციპს, რომელიც ეყრდნობა რასის, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ან მოქალაქეობის წარმომავლობის განსხვავებას. **მერილენდის უნივერსიტეტი** და **დკსჯეც**–ი დაიცავენ ამ პრინციპებს ადმინისტრირებისა და განხორციელებისას აღნიშნული ხელშეკრულების და კონკრეტული წამოწყებების ფარგლებში. არცერთი მხარე არ წამოაყენებს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც დაარღვევს არადისკრიმინაციულ პრინციპებს მკვლევარებისა და სტუდენტების შერჩევისას.

პუნქტი 12. პირობა: ეს ხელშეკრულება ამოქმედდება ხელმოწერის ბოლო თარიღიდან და დასრულდება 2015 წლის 31 დეკემბერს. **მხარეებს** შეუძლიათ გააგრძელონ ხელშეკრულება ერთსულოვანი წერილობითი შეთანხმებით.

პუნქტი 13. ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტა: **მხარეებს** შეუძლიათ შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ცალკეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება თავის მხრიდან სრულად ავტორიზებული ხელმომწერის ხელმოწერით წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც მეორე მხარეს გაეგზავნება 6 თვით ადრე, ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე.

პუნქტი 14. ზოგადი ინფრომაცია: **მერილენდის უნივერსიტეტ**–სა და **დკსჯეც**–ს შორის კავშირი დამოუკიდებელი კონტრაქტორების ურთიერთობაა. არც ერთი ინსტიტუტი არ არის და არც ჩაითვლება მეორეს პარტნიორად ან აგენტად, და არც ერთი ინსტიტუტი არ წარადგენს საკუთარ თავს ამ სტატუსით. აღნიშნული ხელშეკრულება შესაძლებელია ითარგმნოს ინგლისურიდან ქართულ ენაზე და შესაძლებელია გამრავლდეს და გაიცვალოს ფაქსიმელიებით ან სხვა ელექტრონული საშუალებებით ორმხირავად ხელმოწერილი დუბლიკატები, რომელთაგანაც თითოეული ჩაითვლება ორიგინალად, თუმცა ყველა მათგანი წარმოადგენს ერთი და იგივე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ინგლისურ ვერსიას უპირატესობა ენიჭება რაიმე სახის გაურკვევლობის ან გაუგებრობის შემთხვევაში.

მერილენდის უნივერსიტეტი,
კოლეჯ პარკი

_____

მარი ანნ რანკინი
უფროსი ვიცე პრეზიდენტი და რექტორი

_____

თარიღი

_____

რიტა კოლველი
უნივერსიტეტის გამოჩენილი
პროფესორი

07/02/2013
_____

თარიღი

დაავადებათა კონტროლის და
საზოგადოებრივი ჯანმრთელლობის
ეროვნული ცენტრი, საქართველო

_____

ამირან გამყრელიძე
გენერალური დირექტორი

07/02/2013
_____

თარიღი

_____

პაატა იმნაძე
სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი

07/02/2013
_____

თარიღი